საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4998
05/09/2022

4998-21-2-202209051421

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“
მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ.
ელ.ფოსტა: info@water.gov.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 10 ივნისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N2265 განცხადება, რომელიც ეხება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროს წყალარინების სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ წარმოდგენილი shp-ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი კვეთს სახელმწიფო ტყეს, საჭიროა დაზუსტდეს ტყის ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნით შეწყდება ტყის სტატუსი თუ საქმიანობა განხორციელდება განსაკუთრებული ტყითსარგებლობის ფარგლებში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები.

ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის №496 დადგენილების „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას სურს ტყის ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელებისთვის სახელმწიფო ტყის სტატუსის შეწყვეტა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უნდა ასახოს აღნიშნულ დადგენილებაში გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ: წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს დასაბუთებას ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზნის, ეკონომიკური მიზანშეწონილობის,

საჭიროების (მიზეზი), აუცილებლობის შესახებ, ასევე პროექტის განხორციელების ალტერნატივების შესწავლის შედეგების შესახებ (უშუალოდ ტყის ნაწილზე). ასევე ტყის ტერიტორიის ნაწილში რა სახის ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს (დეტალური აღწერა) დამატებით, დოკუმენტს თან უნდა დაერთოს საკადასტრო აზომვითი ნახაზი (ელ.ვერსია/Shp-ფაილები) და შესაბამისი მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის მასალები, ამ დებულების დანართ №1 შესაბამისად (აღრიცხვა ხორციელდება თითოეული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით) და ტყის ტერიტორიის რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ამავე დადგენილების მე-12 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით დოკუმენტაციას უნდა ახლდეს დასაბუთება, რომ საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში.

ხოლო თუ არ არის აუცილებელი ტყის სტატუსის შეწყვეტა, საქმიანობა შესაძლებელია განხორცილდეს განსაკუთრებული ტყითსარგებლობის ფარგლებში, რომელიც რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ მე-60 მუხლის მიხედვით.

ამასთან, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განახლებული მონიტორინგის გეგმა, სადაც მშენებლობის ეტაპზე, ბიოლოგიური გარემოს ნაწილში ასახული იქნება ცხოველებზე დაკვირვების საკითხიც (ამჟამად მხოლოდ წყლის სახეობებზეა ჩანაწერი).

გთხოვთ, უზრუნველყოთ სააგენტოში ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 2 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო